ოქმი:**ო31. 3123137001**
თარიღი:**17/05/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

15. 05. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის საბოლოო ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 25 მაისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია მერიაში სტრუქტურული ერთეულების დასახელებების ცვლილება. შესაბამისად ცვლილება შედის დადგენილების მე-3 მუხლში, რომლითაც საბჭოს შემადგენლობა არის განსაზღვრული. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა: ციალა ლომაძემ, მარინა ორაგველიძემ, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილმა, მარინა

თავართქილაძემ, ანზორ კვერენჩხილაძემ და ეთერ ხუტულაიშვილმა, რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ზემოაღნიშნული პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის ორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 01 აპრილის მდგომარეობით მობილიზებულია შემოსავლები 5823,4 ლარი, აქედან გადასახადები 2793,8 ლარი,

გრანტები 2416,5 ლარი, სხვა შემოსავლები 613,1 ლარი, შესაბამის პერიოდისათვის გაწეული 5534,6 ლარის ხარჯი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1700 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 1711,1 ლარი.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5241,5ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2989,1 ათას ლარს, საიდანაც 1184,4 ათასი ლარი მიიმართა 2023 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2023 წლის ბიუჯეტში 2254,4,6 ათასი ლარი .

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 6408,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10746,4 ათ ლარი) 59,6 %-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 1861,2 ათასი ლარით.

2023 წლის 1 კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 1090,8 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (1789,5 ათ ლარი) 61,0 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -288,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 762,1 ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-39,8 ათ ლარი.

2. საერთო დანიშნულების ხარჯი : სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 22,35 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან 2023 წლის 1 კვარტალში მერის ბრძანების საფუძველზე გახარჯულია 22350 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2804,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 48,5 პროცენტია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 503 ათასი ლარით, რაც გეგმის 78,5 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 441,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 61,2 ათასი ლარით.

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 850,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 74,8 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 850,1 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 200,3 ათასი ლარი გეგმის 60,1 %.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 710,9 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 788,1 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 90,2 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 318,8 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 386,1 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 6,0 ათასი ლარი და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე 20 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 249,4 ათასი ლარით 76,1 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 42 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 207,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაუმტკიცდა 2799100 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 568265.64 ლარი. საკუთარი შემოსავლებით დაუმტკიცდა 7200 ლარი ფაქტი 1650 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტით დაუმტკიცდა 2791900 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 56615.64 ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით 311000 ლარი ფაქტიური ხარჯი 71595 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით 1180200 ლარი ფაქტობრივი 306916.22 ლარი, მივლინება გეგმით 1100 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 450 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით 218000 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 22178,62 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით 15000 ლარი

ფაქტობრივი 1550 ლარი, სამედიცინო ხარჯი გეგმით 1500 ლარი ფაქტობრივი ხარჯი არა, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 915900 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 157138,8 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 124000 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 6037 ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლი გეგმა 25200 ლარი ფაქტობრივი ხარჯი 750 ლარი.

მიმდინარე წელს ღია აუქციონის წესით პრივატიზებული იქნა 2 (ორი) ერთეული ქონება რაზედაც ელექტრონული აუქციონი იყო გამოცხადებული, მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან 2023 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 7 872 ლარი. მიმდინარე წელს ასევე გაფორმებული იქნა 3 (სამი) საიჯარო ხელშეკრულება მუნიციპალურ ქონებაზე აქედან 2 ობიექტზე გამოცხადებული იქნა საიჯარო აუქციონი. 2023 წლის პირველ კვარტალში ჩვენმა სამსახურმა 14 ჯერ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სხვადასხვა უძრავ-მოძრავ ქონების შეფასებისათვის. სისტემატურად მიმდინარეობს მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლების (უზუფრუქტის) ფორმით გაცემის შესახებ წინადადებების განხილვა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება. 2023 წელს 7 (შვიდი) ერთეულ მუნიციპალურ უძრავ-მოძრავ ქონებაზე გაფორმდა სარგებლობის ხელშეკრულებები. 2023 წელს მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 5 (ხუთი) ერთეული მოძრავი და უძრავი ქონება. 2023 წელს ჩვენი სამსახურის მიერ მიმდინარეობდა საგაზაფხულო ხვნა თესვისთვის მოსამზადებელი პერიოდის მონიტორინგი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლაში 2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით დასაქმებულია შტატით_ 7 თანამშრომელი (მათ შორის 2 ქალი და 5 კაცი), ხოლო ხელშეკრულებით 34 თანამშრომელი (მათ შორის 5 ქალი და 29 კაცი). ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 9 ასაკობრივი ჯგუფი. აქედან 4 ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობას იღებს ა(ა)იპ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატებში, ესენია: 1. U-10_ 2013-2014 წელს დაბადებული ვაჟთა გუნდი; 2. U-12_ 2011-2012 წელს დაბადებული ვაჟთა გუნდი; 3. U-13_ 2010-2011 წელს დაბადებული ვაჟთა გუნდი; 4. U-15_ 2008-2009 წელს დაბადებული ვაჟთა გუნდი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ბიუჯეტი 2023 წლის პირველ კვარტალში შეადგენდა 78765 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურებისთვის გახარჯულია 18710 ლარი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებისთვის გახარჯულია 58812 ლარი, თანამშრომელთა მივლინებებზე დაიხარჯა 781 ლარი, ოფისისთვის დახარჯულია 462 ლარი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი შეიქმნა 2007 წლის 30 ივლისს. ცენტრი დააფუძნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკ # 32) სააღმზრდელო ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას,მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. სააღმზრდელო ცენტრის საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობისა და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს. სააღმზრდელო ცენტრი სასწავლო აღმზრდელობით პროცესს წარმართავს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებითა და განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, მუნიციპალიტეტში შემავალ 16 ტერიტორიულ ერთეულში, 848 აღსაზრდელი. ბიუჯეტი მუხლობრივად გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება - 2408400 ლარი;

2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 101682 ლარი;

3. კვება - 669974 ლარი;

4. ტრანსპორტი - 26441 ლარი;

5. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 18027 ლარი;

6. ოფისის ხარჯი - 210876 ლარი;

7. სოც.უზრუნველყოფა - 2600 ლარი.

2023 წლის პირველ კვარტალში გამოცხადდა და დაიდო ხელშეკრულება 14 ტენდერზე. აქედან 10 კვების ტენდერი:

1. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ - 64147,20 ლარი;

2. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ - 7315,20 ლარი;

3. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ - 187587,50 ლარი;

4. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ - 9730 ლარი;

5. შპს ,, ნება პლიუსი“ - 8568 ლარი;

6. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ 72000 ლარი;

7. შ.პ.ს. ,,დემე“ - 99935,40 ლარი;

8. შ.პ.ს. ,,ნება პლიუსი“ - 30067,20 ლარი;

9. შ.პ.ს. ,, კლინტექსი“ - 24223 ლარი;

10. ი/მ ,,ნათია ცინცაძე“ - 158760 ლარი;

11. ი/მ ,,გოგოლა ჭყონია“ - 51630 ლარი;

12. შ.პ.ს. ,, ბრიკეტი 2020“ - 31850 ლარი;

13. ი/მ ,, ამირან მშვიდობაძე“ - 11880 ლარი.

2023 წლის იანვრის თვეში მოხდა საბავშვო ბაღების თანამშრომლების ხელფასის ზრდა 100 ლარით. ბაღებში გათბობისათვის შეძენილი იქნა 24,5 ტონა ხის საწვავი ბრიკეტი. 2023 წლის პირველ კვარტალში სულ ათვისებულია 850138 ლარი მუხლობრივად:

1. შრომის ანაზღაურება - 596785 ლარი;

2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 33742 ლარი;

3. ოფისის ხარჯი - 130391 ლარი;

4. კვების ხარჯი - 73161 ლარი;

5. ტრანსპორტის ხარჯი - 5925 ლარი;

6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 5840 ლარი;

7. სოც. უზრუნველყოფა 2600 ლარი;

8. მივლინება - 1054 ლარი სულ ათვისებულია სუბსიდია 850138 ლარი.

ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმა არის 48.0 ათ.ლარი, შესრულება 43.1 ათ.ლარი. შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება არის 32.4ათ.ლარი. შრ.ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 6.4 ათ.ლარი. საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი ხარჯი შეადგენს 4.3 ათ.ლარს. საკუთარი შემოსავლების 1-ლი კვარტლის გეგმა შეადგენს 12.4ათ.ლარს. საკასო შესრულება 4.1 ათ.ლარი. შტატით მომუშავეთა შრ.ანაზღაურება არის 2.8 ათ.ლარი. შრ.ხელშეკრულებით დასაქმებულთა-1.3 ათ.ლარი. ჯანდაცვის ცენტრი ასევე ჩართულია სამედიცინო კუთხით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, რომლის მონიტორინგს და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლ.საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. პირველ კვარტალში განხორციელდა

შემდეგი სამუშაოები: შესწავლილია 315 კოვიდინფიცირებულის კერა, 3 ტუბერკულოზის, 1 ყივანახველას, 2 ლეპტოსპიროზის, ჩატარდა C ჰეპატიტის და აივ/შიდსის 1269 სკრინინგი, კომბინირებული ტესტირება(4 დაავადებაზე)ჩაუტარდა 14 ორსულს, სანიტარული ნორმების მიხედვით ჩატარდა მონიტორინგი სილამაზის სალონებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გრაფიკის მიხედვით. კოვიდტესტირება ჩაუტარდა 3311 პირს, მათ შორის 68 დადებითია, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში კონტროლი ჩატარდა 57 ობიექტში. დეზინფექცია- დერატიზაცია ყოველთვიურად ტარდება 21 საბავშვო ბაგა-ბაღში. მალარიისა და სხვა ტრანსმისიური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ენტომოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარდა წყალსატევების პასპორტიზაცია. სულ აღრიცხულია 14 წყალსატევი, საერთო ფართობი 96.92 კვ.მ. ამავე პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ხდება მალარიაზე საეჭვო პირების სკრინინგული კვლევა, გამოკვლეულია 30 პირი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში სამი თვის მონაცემებით ირიცხება 65 თანამშრომელი, აქედან შტატით 9 თანამშრომელი, ხოლო ხელშეკრულებით 56 თანამშრომელი. ცენტრს ემსახურება 26 მწვრთნელი, რომლებიც გაერთიანებული არიან სპორტის 10 სახეობაში და ავარჯიშებენ, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლების 387 მოსწავლეს. 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი არის 559 400 ლარი, ფაქტობრივად სამ თვეში დახარჯულია 143431 ლარი, აქედან სპორტული ღონისძიების ხარჯებისათვის დაგეგმილი იყო 12000 ლარი დახარჯულია 11932ლარი, (აქედან ერთი წარმატებული სპორტსმენის სტიპენდია 450 ლარი, სპორტული ღონისძიებების ტრანსპორტირებისათვის დაგეგმილია პირველ კვარტალში 7000 ლარი, ფაქტობრივად გახარჯულია- 4320 ლარი, მივლინებისათვის გეგმით გათვალისწინებულია -4500 ლარი, დაზუსტებულია 6000 ლარი, ფაქტობრივად გახარჯულია-5738 ლარი, ოფისის ხარჯებისათვის დაგეგმილია -15900 ლარი, ფაქტობრივად გახარჯულია- 8840 ლარი, სამედიცინო ხარჯებისთვის დაგეგმილია 500 ლარი, ფაქტობრივად გახარჯულია 0 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის დაგეგმილია 3000 ლარი, ხოლო ფაქტობრივად გაიხარჯა 1116 ლარი, ხელფასებისთვის დაგეგმილია -23000 ლარი, ფაქტობრივად გახარჯულია- 19980 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის გამოყოფილია -86500 ლარი, დაზუსტებულია 90 000 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია- 89725 ლარი. არაფინანსურ აქტივებში დაგეგმილია 2600 ლარი, გახარჯულია 1780 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა - 498900 ლარით, აქედან სუბსიდია - 464700 ლარი, საკუთარი შემოსავლები ნაშთის ჩათვლით - 43645 ლარი. ნაშთის სახით ანგარიშზე დარჩა -15721,74 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის აპრილის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1380167,68 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1380167,68 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1191866,084 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 30,65 %-ს; დღგ-მ შეადგინა 851302,47 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 31,23 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 1732,97 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 1611,39 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 250939,914 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2165,6 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 189285,854 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის მარტის თვეში შემოსულობებმა 2572033,764 ლარი შეადგინა.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 9164220 ლარი. აპრილის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 2260287 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 915144 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 1711087 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 2431227 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1601778 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, თუ რა ეტაპზეა მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღისთვის გასართობი ატრაქციონების შეძენის საკითხი, არის თუ არა ფინანსური უზრუნველყოფა ამ ეტაპზე იმისათვის, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყოს შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაძლებელია თუ არა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებით გაკეთდეს სოფელ ჭანჭათის ცენტრი და მამათის ადმინისტრაციული ერთეულის ერთ-ერთ უბანში სასმელი წყლის სისტემა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, როდის მოგვარდება ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის პრობლემა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთში, გვარჯალაძის ქუჩაზე მდებარე ერთ- ერთი კორპუსის კანალიზაციის სისტემის მოსაწესრიგებლად პროექტი უკვე მზად არის და საჭიროა სამუშაოების დაწყება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ,** ამავე ფრაქციის წევრის ელისო ჭიჭინაძის სახელით გააჟღერა დეპუტატის უფლებამოსილების ხარჯის გაზრდის საკითხი, რომელიც რიგ მუნიციპალიტეტებში 800 ლარს შეადგენს და სასურველი იქნება თუ კიდევ ერთხელ იმსჯელებენ ამ საკითხის ირგვლივ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რა ეტაპზეა ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ილია ჭავჭავაძის სახელობის სამკითხველოს რეაბილიტაციის საკითხი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ:

1. ის მხარს უჭერს მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღისთვის გასართობი ატრაქციონების შეძენას, მაგრამ საკითხი მოგვარდება მას შემდეგ, რაც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტში ცვლილების სხვა საკითხებთან ერთად მოამზადებს და განსახილველად შემოიტანს საკრებულოს სხდომაზე.

2. აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება ერთ კვირაში იქნება შესაძლებელი და სანამ სამუშაოები

დასრულდება დასაფინანსებელი თანხაც ჩაირიცხება.

3. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას აქვს თავისი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ასრულებენ სამუშაოებს და ეს პროექტები მუნიციპალიტეტის მხრიდან აუცილებლად იქნება მხარდაჭერილი.

4. რამდენიმე მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამებით მხოლოდ გზებს აკეთებენ, აცხადებენ ტენდერს ბეტონის და არმატურის შესყიდვაზე ყოველგვარი ზედნადების და მუშახელის ხარჯის გარეშე, მაგრამ ამ შემთხვევაში ცუდია, რომ არ ხდება ხარისხის კონტროლი.

5. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად პროექტი უკვე მზადაა და სამუშაოები დაიწყება საჭირო თანხების მობილიზების შემდეგ.

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მისი ინიციატივით, გათვალისწინებული იყო დეპუტატის უფლებამოსილების ხარჯის 800 ლარამდე გაზრდის საკითხი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ერთიანი პოლიტიკიდან გამომდინარე.

7. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ილია ჭავჭავაძის სახელობის სამკითხველოს რეაბილიტაციის პროექტი დასასრულს უახლოვდება. ეს პროექტი სამკითხველოს გარდა მოიცავს მის ირგვლივ სკვერის კეთილმოწყობასაც, რის გამოც დროში გაიწელა და ახლა მიმდინარეობს მისი ფინანსური კუთხით დამუშავება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი